


სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 5. იანვრის 31. 1893 წ. № 5.

გაზეთის ფასი წლიურად: ტფილისში 7 მან., ტფილისს გარეშე 8 მან., ნახევარი წლით 4 მან, სამი თვით 3 მან. თითო ნომერი ღირს აბაზად. მსურველთ შეუძლიანთ გაზეთის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ რედაქციასთან შეთანხმებით.

გაზეთის დაბარება შეიძლება ჯერჯერობით შემდეგის ადგილებიდან: „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიიდან", (ტფილისი, ბანკის ქარვასლა) ქართულ ბიბლიოტეკიდან (ტფილისი ბანკისავე ქარვასლა) და „ჯეჯილის" რედაქციიდან. ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, Въ Редакцію* **„Джеджили"** *и* **„Квали"**.

განცხადება გაზეთში დასაბეჭდად მიიღება როგორც ქართულს, ისე სხვა ენებზედ. ფასი განცხადებისა სტრიქონზე 5 კაპ.

4783

**შინაარსი:** — 1, საოჯახო წიგნთ-საცავი, პ. უმ—სა.—ახლანდელი სიმღერა, ლექსი აკაკისა.—2, სწორიდან სწორამდე.—3, თეატრი.—4, ბერიკ..., გ. წერეთლისა.—5, წვრილი ამბები.—6, ***, ლექსი დ. მეგრელისა.—7, გეგუთის სამეფო სასახლე.—8, მილიონებში ხელ... ...ევე...ონი, ი. მ—სა.—9, შეცდომა, ლექსი აკაკისა.—10, არწივის ბუდე, N-სა.

## საოჯახო წიგნთ-საცავი

ბევრი ნაკლულევანება აჩნევია ჩვენს ოჯახებს; ხოლო შვილების აღზრდის საქმეში და სწავლა განათლების საქმეში ხომ ყველაზე მეტი. რაკი სასწავლებელში შვილს მისცემენ, დედ-მამას ასე ჰგონია, ეს არის, ყოველს გონებრივს და სულიერს სიმდიდრეს მასწავლებლები მიანიჭებენ, ყოველს ზნეობრივს აღზრდას და წვრთვნას ისინი მოაპოვებინებენო. მშობლებს ეს აზრი ძვალ რბილში აქვთ გამჯდარი და აღარასა ზრუნვენ შვილების გონებრივის და სულიერის აღზრდისათვის, თუმცა კი მუდამ დღე ჩვენი მასწავლებლები გვეჩიჩინებიან, რომ ზნეობრივი და სულიერი აღზრდის საქმე ჩვენი მოვალეობა არ არის, თქვენი, დედმამის საზრუნველიაო.

ამ საქმეში სხვა-და-სხვა მრავალ გარემოებათა შორის დედ-მამის საზრუნველი ერთი რამ არის, რომელსაც ყმაწვილების გონებითს, სულიერსა და ზნეობითს აღზრდაზედ და წინსვლაზე დიდი ზედმოქმედება აქვს. ეს გახლავთ საოჯახო ბიბლიოთეკის ანუ წიგნთ-საცავის მოწყობა.

ჩვენში ბევრი ლაპარაკი ყოფილა საჯარო, სახალხო სამკითხველოზე ანუ წიგნთ-საცავზე, ხოლო საოჯახოზე, როგორც გვახსოვს, არა თქმულა-რა, ეს საგანი კი მეტად საყურადღებო საგანია.

რიგიან ევროპის და თვით რუსეთის ოჯახს ვერ ნახავს კაცი, რომ მოზარდ შვილებისათვის პატარა თარო, შკაფი, ან ყუთი არ ედგას საკითხავი წიგნებით, რომელთაც ყმაწვილი თავისუფალ დროს კითხულობს. ჩვენში კი ყმაწვილს თუ წიგნებს უყიდიან, მარტო სკოლაში სასწავლებელს და შინ თავისუფალ დროს საკითხავ წიგნებისათვის დედ-მამა არა ზრუნავს, სანამ შემთხვევით მცნობი, ან ამხანაგი, ან მასწავლებელი არ წაახალისებს ყმაწვილს სასწავლო წიგნებს გარდა სხვა წიგნების კითხვას.

როგორც ვთქვით, რიგიან განათლებულ ოჯახებში შვილებს სამკითხველოებს უმართავენ; მაგრამ მარტო შვილებს კი არა, თითონ ხანში შესულ დედმამათ თავისთვისაც აქვთ საკუთარი ბიბლიოთეკა, როგორც ჩვენ ძველებურ ოჯახებში იცოდნენ. რიგიან ოჯახებში შვილებისათვის წლოვანების მიხედვით ყიდულობენ შესაფერ წიგნებს, თანდა-თან უმატებენ ამისთანა სამკითხველოებს, ინახავენ და ერთი შვილისათვის ნაყიდი მეორეს გამოადგება, მერე მესამეს და ამ გვარად ერთხელ დაფუძნებული ნელ-ნელა შეუმჩნევლად დიდდება, საოჯახოდ მთელი გროვა წიგნებისა გროვდება, არ იფანტება. დედ-მამა ყმაწვილებს წიგნების მოვლას და შენახვას ასწავლის, წიგნების შერჩევას და კითხვას აჩვევს. ამგვარი ხელის შეწყობა ყმაწვილებს უღვიძებს თვითმოქმედებას, თვით გამჭრიახობის ძალას და ეხმარება, რომ ყმაწვილმა სასწავლებელშიაც უმეტესი მხნეობა, გარჯა და ხალისი გამოიჩინოს. მარტო სასწავლებლისა და იქ ხმარებულის წიგნების იმედით თავის დღეში დედ მამა ნუ მოელის შვილების წინ-სვლას. რომელ დედ-მამასაც შვილი სასწავლებელზე მიუგდია და თვითონ არა ზრუნავს ამ მხრით დახმარებაზე, რასაკვირველია ბევრს სიკეთეს არ უნდა მოელოდეს შვილისაგან.

დავხედოთ ჩვენს ოჯახებს და ვნახოთ ახლა-და-ახლა თუ რა ხშირად მოისმის დედ-მამის საყვედური, რომ ჩემმა შვილმა არც რიგიანი ქართული წერა-კითხვა იცის, არც ჩვენი მწერლების ნაწარმოები წაუკითხავს, არც საქართველოს ისტორია იცისო. ერთი სიტყვით, ვაჟია თუ ქალი, ერთგვარად უცოდინარნი არიან ჩვენის მწერლებისა, ისტორიისა, თუმცა გიმნაზიაში და თუნდ უნივერსიტეტში სწავლა კი დაასრულესო. მიუბრუნდით და ჰკითხეთ, აბა, ამის მთქმელ მშობელსა.

— ქართული სახარება გაქვთ შინა?

— არა.

— ვეფხის-ტყაოსანი გაქვთ?

— არა.

— ქართული რომელიმე ლექსიკონი გაქვთ?

— არა.

— ისტორია ვახუშტისა, ან ცამციევისა მაინც?

— არა.

არა და არა... მოგესმით პასუხად. და მართლაც ვერც ერთ წიგნს ვერ დაგისახელებთ. მოდით და ნუ გაიკვირებთ, რომ ამისთანა ქართველ ოჯახის შვილმა უნივერსიტეტშიაც კურსი დაასრულოს და არა იცოდეს რა თავის ერისა: არც ენა, არც მწერლობა, არც ისტორია.

მართლა და გაზვიადებულ ამბად არ მიიჩნიოთ. აბა, ნახეთ ჩვენი ოჯახები, თუ სადმე ან დაბადებას შეხვდეთ, ან სახარებას? რომელ განათლებულ ოჯახში ნახავთ სხვაგან ამისთანა უმსგავსობას? ევროპაში, რაც უნდა თავისუფალის აზრის, სარწმუნოების და მიმართულების ოჯახი შეხვდესთ, სახარებას მაინც უეჭველად ნახავთ მის სახლში. ევროპის საუკეთესო პოეტთა და მწერალთა ნაწარმოებში ხშირად შეგხვდებათ საღმრთო წერილის პოეტური ადგილები, ან სრულად შეუცვლელად ჩართული, ანუ მიმსგავსებული. ასეთი ზედმოქმედება ჰქონია შინ კითხვასა და შესწავლასა.

ქართული სახარების ენა, რომელიც მთელის საქართველოს ფილოსოფოსების მიერ შემუშავებულია, ვეფხის ტყაოსნის და სხვათა წარჩინებულთა ქართველ მწერალთა ენა თუ არ იცის განათლებულმა ქართველმა, მისი დედ-მამაა დამნაშავე, და იმ სურვილის ყელის გამომჭრელი, რომელსაც განათლებული ქართველი აცხადებს ფარისევლურის წუწუნით.

ჩვენდა საიმედოდ ახლა-და-ახლა რომელ დედ-მამასაც ნამდვილი სურვილი აქვს, რომ იმათმა შვილებმა მართლა იცოდნენ ქართული მწერლობა და საქართველოს ისტორია, უმართავენ შვილებს პატარა ბიბლიოთეკებს და ხელს უწყობენ სწავლაშიაც. სამწუხაროდ ცოტასა ვხედავთ ამ გვარ მაგალითებს, მაგრამ ვისაც ბედნიერება ჰქონია და შეხვედრია ამ გვარ ოჯახის შვილებს, გაუკვირდება ამ ყმაწვილ ვაჟების ან ქალების ცოდნა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა, რომელიც ბევრ ჩვენებურ მწერალსაც სანატრელად მიაჩნია.

ეს სასიხარულო ამბავი საიმედო მომავალს მისცემს ოჯახებსა, თუ ამ გვარს გზას დაადგებიან შვილების პატრონები. ზემოხსენებული, შინ ოჯახების სამკითხველოს შემწეობით სამშობლო ლიტერატურის მცოდნე ყმაწვილები მომეტებული ხალისით იძენენ უცხო მწერალთა გონებითს ნაწარმოებსაც. ამ გვარი მომზადება ეტყობა სკოლებში სწავლის დროს მის ნაწარმოებსაც. ვისაც შემთხვევა ჰქონია, ის გულწრფელი სიხარულით და იმედიანი გრძნობით წაიკითხავდა ამ მოსწავლე ყმაწვილების ნამუშევარს. როდესაც შევადარებთ სწავლა-მოკლებულ მეზობლის ნაბეჭდ წიგნაკებსა, იმედი მოგეცემათ, აი, დრო გვიახლოვდება, უმზგავსოს, უნიჭოს და უმეცრების ნაწარმოებთა ბეჭვდას ბოლო მოეღება; იმედი გეძლევათ, მალე ახალი მოზარდი სწავლით ძლიერი თაობა დაიჭერს მწერლობის ასპარეზზე მტკიცე ადგილს და დააკმაყოფილებს ჩვენ სულიერ წყურვილსაო.

შვილის პატრონების ბეჯითობაზეა დამყარებული მათი ბედნიერებაც და საერთოდ ქვეყნის ბედნიერებაც; მათ მეცადინეობას დიდი საქმე შეუძლია. დღეს თუ თითო ოროლას ვხედავთ ზემოხსენებულ მზრუნველ ოჯახებს და მათ ნაყოფს მალე უნდა მოველოდეთ, რამდენად სასურველია, რომ ამისთანა ზრუნვა ყოველ ოჯახში იქონიონ და რიგიანი ხელის შეწყობა ისწავლონ.

განა არ არიან ჩვენში დედ-მამანი, რომ შვილებს მართლა სასწავლო ნივთებს გარდა, სხვა საკითხავ წიგნებს

უყიდიან ხოლმე? არიან, როგორ არ არიან, მაგრამ ხელის მოწყობას და შენახვას წიგნებისას შვილებს არ ასწავლიან. ჩვენებური უთაურობა ამ საქმეშიცა ჩანს. მოუტანენ შვილებს საყმაწვილო წიგნებს, მისცემენ ხელში. ერთ ორ დღეს უკან ყმაწვილები ფლეთენ, ჰკარგვენ, მიაგდებენ აქეთ-იქით. ერთ ყუთს, ერთ პატარა ფიცრის უბრალო თაროს არ გაუკეთებენ, რომ ყმაწვილი შეაჩვიონ დალაგებასა, დაწყობასა, არ ეტყვიან შენახვასა სამუდამოდ, რომ შემდეგშიაც გამოადგეთ მეორე ძმებს, დებს, ბიძაშვილებს და ამხანაგებს. როგორც ყველაფერში, აქაც დაუზოგველობა და უთადარიგობაა.

აი, ყმაწვილის ხასიათის აღზრდისთვის ერთი მასალაც ეს იქნება, რომ პატარა ბიბლიოთეკის, სამკითხველოს, მოვლა, შენახვა, დალაგება, რიგზე ხმარება, თხოვება დედმამამ სიყმაწვილითვე შეასწავლოს შვილებსა. თუ არა და, დღეს ყიდვა, ხვალ ფლეთა და გადაყრა წიგნებისა მხოლოდ უგუნურ მხეცობას ასწავლის ყმაწვილსა.

ამ გარეგანს უთაურობას მოსდევს შინაგანი უთაურობაც. წიგნის ერთხელ წაკითხვა, შესწავლა არ არის, შეთვისება არ არის წაკითხულისა. ყმაწვილია, თუ დიდი, ყველამ უნდა იცოდეს, რომ წაკითხულს დაკვირვება უნდა, მეორედ, მესამედ და იქნება მეასედაც, რომ გონებამ შეითვისოს, მოისაზროს, მოინელოს და გაარკვიოს, თორემ გონება ვერაფერს მოინელებს, ვერაფერს შეიძენს. სამკითხველოს მნიშვნელობა ისიც არის, რომ ხშირად დაუბრუნდეს მოწაფე, მოსწავლე ყმაწვილი ერთხელ წაკითხულსა.

ეს მუდმივი ხელმეორედ გადაკითხვა, შემოწმება, გადასინჯვა ის ძალაა, რომელიც გვაჩვევს ყველაფრის აწონდაწონასა, გაზომვასა, სიფრთხილეს, მკვიდრად სიარულს, შეცდომის აცდენას და ბოლოს განათლებით გონების შეიარაღებას და სინიდისის გაწმენდასა.

აი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პაწია საქმეს, ამ საოჯახო ბიბლიოთეკას შვილების აღზრდის საქმეში. ნუ გაიძნელებენ დედ-მამანი და ნუ იტყვიან: როდის რა გახდება, როდის შევუდგენთ ყმაწვილებს ბიბლიოთეკასაო? ნუ გააგონებთ ყმაწვილს ამ აზრს. ერთი წიგნი წელს უყიდეთ, საკუთარი ყუთი მიეცით, ან თარო და უთხარით: ეს შენი სამკითხველოა, ამაში უნდა მოაგროვო და შეინახო წიგნები. მეორის მეორე წიგნს გიყიდი, მესამე წელს მესამეს და სწავლის გათავებამდე თან-და-თან გაიზრდება-თქო. ეს იქნება დიდი მოძღვრება, დიდი სწავლა თქვენის შვილების გონებითის და ნივთიერის აღზდისათვის.

რომელი გონებითი, ან ქონებითი სიმდიდრე გაჩენილა და შექნილა ერთ დღეში. ერთის დღის, ერთის წლის ნაშოვნს, მეორე დღისა, მეორე წლისა მიმატებია, თუ პატრონი მფლანგავი არ ყოფილა. მთელი ქვეყნიერების სწავლა, განათლება, ცხოვრების ყოველგვარი წარმატება ნელ-ნელა წაწეულა წინ და არა უეცარის მოპოებით. სახლი თითო აგურის და ფიცრის დადებით შენდება.

საოჯახო საყმაწვილო ბიბლიოთეკის გამართვასაც ეს წესი აქვს და ნუ დაგეზარებათ, ნურც შეშინდებით თქვენის შვილების საკეთილდღეოდ.

პეტრე უმიკაშვილი

---

## ახლანდელი სიმღერა

„ჰკარ! მოჰკალ! შეჰკარ! შეიპყარ!“
იძახდენ ჩვენი ძველები...
ამას მოწმობენ მტრის სისხლით
ნალები მთა და ველები.

„ჰკარ, მოჰკალ! შეჰკარ! შეიპყარ!“
დღესაც ვიძახით ყველანი;
მაგრამ ენა გვაქვს ფარ-ხმალად
და სისხლად შაეი მელანი!—

ვეფხ-ლომნი გადაგვიშენდენ,
გამრავლდენ მელა-კატები...
„ჰკარ! მოჰკალ! შეჰკარ! შეიპყარ!“
ჰყვირიან ადვოკატები.

ძმა ძმას არ ჰზოგავს, მამა შვილს,
მოყვარე მოყვრის მტერია!..
„ჰკარ! მოჰკალ! შეჰკარ! შეიპყარ!“
ყოველგან ასე სწერია!..

იჩაგრებიან საწყლები...
ცრემლზე ცრემლს ჰღვრიან მწარესა.
„ჰკარ! მოჰკალ! შეჰკარ! შეიპყარ!“
გაისმის ყოველ მხარესა!..

აკაკი

---

## სწორიდან სწორამდე

„წერა-კითხვის საზოგადოების“ კრება.—მეთოთხმეტე გამოცემა შეუვსებელი და გაუსწორებელი.—ვის ვუსაყვედუროთ გულ-გრილობა?—ვანქის ხიდის საქმე.—ქუთაისის ხმოსანი მიქიაშვილი და მისნი დამრიგებელნი.—ირლანდიელები ტფილისში.—ბანკის საგანგებო კრება.

„რადგანაც წევრთა საჭირო რიცხვი არ მოგროვდა, ამიტომ კრება გადაიდო მომავალ კვირისთვის.“

ყოველ წელიწადს იბეჭდება ეს ორი სტრიქონი გაზეთებში და მკითხველებიც მიხვდებოდენ რა საგანზედ იბეჭდება. მართლაც დაეკვება „წერა-კითხვის საზოგადოებას“ წევრთა საჭირო რიცხვის მოუგრო-

ევბლობა და საქმის ერთის კვირით გადადება. აი წარსულ კვირასაც არ მოგროვდა ორმოც-და-ათი წევრი და კრება სადღეისოდ გადაიდო. დღეს მოიყრის თავს ორმოცამდე კაცი, წაიკითხავენ წლიურ ანგარიშს, რომელიც ეს თოთხმეტი წელიწადია ერთს ყაიდაზედ იბეჭდება და წელიწადი რომ არ ეწეროს, ვერც კი გაარჩევდით, რომელ ხანს ეკუთვნის,—ისე ჰგავს ერთი ანგარიში მეორეს — ამოარჩევენ ხუთ ექსს ახალ წევრს და დაიშლებიან.

ეს ერთ-ფეროობა, ერთგვარობა, წინ ფეხის წაუდგმელობა მეტის მეტად მოსაწყენია და ხალისის დამკარგველი, მაგრამ ვის ადევს ამისი ბრალი? საზოგადოებას საერთოდ, თუ იმ ცამეტ პირს, რომელთაც ამ საქმის გამგებლობა უკისრიათ? თუ მართალი გინდათ, ერთსაცა და მეორეებსაც, თუმცა ორთავეს შესაწყნარებელი საბუთიცა აქეთ: მართალია, საზოგადოების წევრნი თავს არ იტკიებენ არც საწევრო ფულის შეტანით, არც კრებებზე დასწრებით, მაგრამ მათდა გასამართლებლად ისიც უნდა ითქვას, რომ რაც კი გასართობი იმართება „წერა-კითხვის საზოგადოების“ სახელით, ტფილისში, თუ ტფილისს გარედ, ყველგან ხალხი ალტაცებით ეგებება და კაი ძალი ფულიც შეაქვს „საზოგადოების“ სასარგებლოდ. ესეც არ ითქმის, გასართობი რომ არა ყოფილიყო, არაფინ წაეიდოდაო, რადგან ნიშნებია,—ჩვენს საზოგადოებაში ნელნელა ფეხს იდგამს ის რწმენა,—რომ საზოგადო მოღვაწეთ თანაგრძნობა ეჭირვება, მხარში ამოდგომა უნდა და გაჭირვების დროს ფულითაც შემწეობა თუ ცოცხალს არა, მკვდარსა და მის სახლეულობას მაინცაო.

ეს გრძნობა მოვალეობისა საზოგადო მოღვაწეობის წინაშე, ვიმედეულობთ, გაიზრდება, აყვავდება და შემდეგში მოწამენი აღარ ვიქმნებით იმისთანა უცნაურის ამბისა, რაც ახალს ანგარიშში ამოვიკითხეთ,—საზოგადოებას საწევრო ფული 4456 მან. უნდა შემოსვლოდა და ნამდვილად კი 706 მანათი შემოვიდაო. (იქნება ამ ფულში წლიურ შემოსატანს გარდა ერთბაშად შემოტანილიც ერიოს,—ეს ანგარიშიდან არა სჩანს).

თვით გამგეობის წევრთა საბოდიშოდ კი ეს გვეთქმის მხოლოდ, რომ მათ ხშირად სხვა-და-სხვა გარეშე მიზეზები უშლის ხელს და აგრეთვე თითქმის ყოველს მათგანს იმდენი საკუთარი საქმე აქვს, რომ ბევრს ველარ იცლის საზოგადო საქმისთვის.

ამ საზოგადო შენიშვნებს რომ თავი დავანებოთ და თვით ანგარიშს დავუბრუნდეთ, აი რასა ვნახავთ სანუგეშოს. „საზოგადოების“ სოფლის სკოლებში მოსწავლენი ქალნი თითქმის მეტნი არიან ვაჟებზედ და ეს საუკეთესო საშუალებაა წერა-კითხვის გავრცელებისთვის: ვაჟები ერთ სოფელში რჩებიან და წერა-კითხვას ისე ვერ გაავრცელებენ, ქალები კი დათხოვდებიან სხვა-და-სხვა სოფლებში და ამ რიგად ერთი სოფელი შეიძლება რამდენიმე სოფლის მასწავლებლად გარდაიქცეს. აი მაგალითად ხელთუბნის სკოლაში 55 მოწაფეში 21 ქალი ყოფილა; წინარეხისაში 54-ში 37 ქალი (აქ მასწავლებლადაც ქალია); თონეთისაში 46-ში 20 ქალი.

ამას გარდა შესანიშნავია, რომ ანგარიშში ბევრი რამ არის მოხსენებული, რაც თუმცა „საზოგადოების“ სახელით გაკეთებულა, შრომა და მუყაითობა კი სხვისა იყო. მაგალითად, ნამდვილად ვიცით, რომ შვიდს ჩამოთვლილს წიგნში, რომელნიც საზოგადოებას გამოუცია, მართლა საზოგადოებისაგან გამოცემული მხოლოდ ორია, დანარჩენები კი პატრონებისაგან არის დაბეჭდილი „საზოგადოების“ სახელით, ან „საზოგადოებისაგან“ დაბეჭდვის შემდეგ შესყიდული.

წლიურ ანგარიშიდანა სჩანს აგრეთვე, რომ „საზოგადოებისათვის“ გადაუციათ „შესანახად და შესაფერად მოსახმარებლად“ ის თანხები, რომელიც ჩვენის მწერლების სახელობაზე ეს სამი წელიწადია გროვდებოდა, სულ 3145 მან. ამ თანხებში სხვათა შორის ურევია თანხა ა. ყაზბეგისა 372 მან., რის მოგროვებაც, როგორც გვახსოვს, იმ აზრით დაიწყეს, რომ სიცოცხლეშივე ავადმყოფ მწერლისათვის დახმარება აღმოეჩინათ, და თუ აკლია რამ საავადმყოფოში, ეს ნაკლი შეევსოთ. საჭიროა ჩვენმა საზოგადოებამ, რომელმაც ასეთი თანაგრძნობა გამოუცხადა სნეულს მწერალს, იცოდეს თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ა. ყაზბეგი და ხმარდება რამე მოგროვილ თანხიდან თუ არა.

მკითხველს დავიწყებული არ ექნება ის საშინელი უბედურება, რომელიც წარსულს წელს ნათლიღება დღეს ტფილისში მოხდა: ხელად ასაშენებელ ვანქის ხიდს შეუსხდენ ქვეშ დიდი თაგვები ადამიანის სახით და რამდენიმე ათის თუმნის მოგების სურვილით გატაცებულებმა არ დაინდეს ოც-და-ცამეტის კაცის სიცოცხლე და ასამდე ოჯახს დღესასწაულის დღე შავ-ბნელ დღედ გადაუქციეს. დიდხანს ეძებეს, თუ ვინ უნდა ყოფილიყო პასუხის-მგებელი ამისთანა უბედურებისაო და მრავალი ძებნის შემდეგ მიაგნეს მღვდელს ტერ-კოსტა არარატიანცს და დურგალს მელიქოვს; პირველს სხვის სახელით იჯარით აღლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიდის გაკეთება და მეორეს კი აშენება ეკისრა. ორივე დამნაშავე სასამართლომ ამ დღეებში გაამართლა, თუმცა პროკურორს უმაღლესს სასამართლოში პროტესტი გადაუტანია. შესანიშნავი ის არის, რომ საქმის გარჩევის დროს შემდეგი ცხადად დამტკიცდა: აქ კერძო პირნი ისე დამნაშავენი არა ყოფილან, როგორც ბევრს ეგონა; ტერ-კოსტა არარატიანცი არ იქნებოდა, ამის მაგივრად სხვა გამოჩნდებოდა იჯარის აღების მსურველი და ეცდებოდა რაც შეიძლება იაფად გაეკეთებინა აღებული საქმე და ხიდზე გამსვლელთა სიცოცხლეს კი არას დასდევდა. აქ მთელი ბრალი ზედამხედველებს ედებათ, ესე იგი იმათ, რომელნიც მოვალენი არიან ამისთანა ძნელად საკისრებელ და მრავალი ხალხის ხიფათში ჩამგდებ შენობებს ყური უგდონ. სხვათა შორის პროკურორმა მიაქცია ყურადღება, რომ უმთავრესი დამნაშავე აქ ქალაქის გამგეობაა და განსაკუთრებით შენობების განყოფილების გამგე, რომელმაც კარგად იცოდა ხიდი კეთდებოდა, მუშებიც გაგზავნა გზის მოსასწორებლად, მაგრამ თითონ ხიდი კი, რომელზედაც ათი ათასზე მეტი სული უნდა გასულიყო, ინჟინერს არ გაასინჯვინაო.

ქუთაისს თავისი ბრალდლო გამოსჩენია... იქაურ საბჭოში ფეხი მოუკიდნია ხმოსანს ბ. მიქიაშვილს და ისე მაგრად მოუკიდნია, რომ მთელი საბჭო ცდილობს და ამ ფეხს ვეღარ აცვლევინებს. ეს ხმოსანი ჩასციებია თურმე საბჭოს, გინდათ თუ არა, იშუამდგომლეთ მალე ახალი დებულება შემოიღონ ქუთაისშიო და ამ ახალი დებულების სიყვარულს ისე გაუტაცნია, რომ შეურაცხებაც მიუყენებია თავის ამხანაგთათვის. შეურაცხებისათვის საბჭოს გადაუწყვეტია მიქიაშვილი შეიდ სხდომაზედ ნუ დაესწრებაო, მაგრამ ის თავისას თურმე არ იშლის, სხდომებზე დადის და ალბად იმას ელის, რომ ინგლისის პარლამენტის წევრის ბრადლოსავით ასწევენ და ხელით გაიტანენ საბჭოდან, როგორც ტრიუმფატორს და თავის აზრების მტკიცე მიმდევარს.

მაგრამ მიქიაშვილის საქმე რად გვიკვირს, როდესაც თვით იმ გაზეთებსაც, რომელთაც ყბად აიღეს ბ. მიქიაშვილი, გამორკვეული არა აქვთ თუ რომელ წესსა და დებულებას თანაგრძნობით უნდა მოეპყრათ და რომელი უნდა ჩავთვალოთ ჩვენის თვით-მოქმედების შემკვეცად და შემაფერხებლადაო.

აი, სხვათა შორის რას ამბობს მეფელეტონე ერთის გაზეთისა:

„....საჩქაროდ დავანებოთ თავი ბ-ნ მოლჩანოვს და გადავიდეთ ხმოსან მიქიაშვილზედ...

და „გადადის რა ხმოსან მიქიაშვილზედ“, აგვიწერს იმის შეუდარებლობას, უებრობას და სხვ., განაგრძობს:

....მაშინ, როდესაც ყოველი მომხრე სამოქალაქო თვით-მმართველობისა გულ-დათუთქული დარჩა იმ წესთა გამოცვლით, რომელთაც შეეჩვივნენ მოქალაქენი, ამ დროს ქუთაისში აღმოჩენილა ხმოსანი, რომელსაც ისე გახარებია ფრთების შეკვეცა და სხვ. და სხვ...

მეორე მეფელეტონე იმავე გაზეთისა, ანუ იქნება იგივე სხვა სახელით კი სწერს სწორედ იმავე საგანზედ შემდეგს:

....ყველა ქალაქების სამმართველო, რომელიც 1870 წლის (ესე იგი ძველის) წესდებულობით ხელმძღვანელობს, ესე იქცევა (ესე იგი უსამართლოდ) და არც თუ სხვაფრივ მოსალოდნელია, უკეთუ მთავრობამ ამ შეუფერებელს საერთო ამბავს ყურადღება არ მიაქცია და მამულების დაფასების რიგი არ შესცვალა... მხოლოდ ეხლა, როდესაც 1870 წ. საქალაქო კანონი შეიცვალა... შეიძლება გათანასწორდეს საქალაქო გარდასახადი მდიდარსა და ღარიბს, დიდს ბატონსა და უბრალო მშრომელს შორის.

მოდით და გაიგეთ რამე! ერთსა და იმავე გაზეთში ერთისა და იმავე მოელენის შესახებ ერთხელ გულ-ჩათუთქვა, თავზედ ნაცრის დაყრა, ტირილი და გოდება და მეორეჯერ ორ-სამ დღეს შემდეგ შვება და სიხარული, იმედების განცხოველება...

ამ ორის წლის წინად რომ ტფილისის საბჭო განახლდა და რამდენიმე ხმოსანი ამოირჩიეს, რომელთა ფერის და იერის დანახვა ზოგიერთებს არ ესიამოვნათ, მას აქედ ისე კრება არ იქნებოდა, რომ რომელსამე გაზეთს ლაპარაკი არ მოერთო მასზედ: ახალნი ხმოსანნი მხოლოდ ლაპარაკისათვის არიან ამორჩეულნი, ქალაქის საქმეები კი ბრკოლდება და არა კეთდება-რაო. რამდენად მართალნი არიან ამის დამწერნი, შემდეგში ენახავთ, როცა საბჭოს მოქმედებას განვიხილავთ ამ ორ წლი-ნახევრის განმავლობაში, ახლა კი ამ გაზეთების სიტყვების დასასურათებლად გავიხსენებთ მხოლოდ რაც მოხდა წარსულ ორშაბათის სხდომაზედ და გავითვალისწინებთ, თუ მართლა ვინ არის ქალაქის საქმეების ხელის შემშლელი და უბრალო ლაპარაკით საქმის ჩამშლელი:

ამ კრებაზედ უნდა განხილულიყო, თუ როგორ მოეწყოს სამკურნალო საქმე ტფილისში. იმ ხმოსნებმა, რომელნიც ძველებს რაღაცა მიზეზით ათვალწუნებული ჰყავთ, გადასწყვიტეს მთელი ქალაქის სა-

მკურნალო საქმე ერთს პირსა ჰბარებოდა და მის ხელმძღვანელობის ქვეშ ერთობა და წესიერება დასტყობოდა ყველა იმ დაწესებულებას, რაც ქალაქს ამ აზრით გაუმართავს. ამას გარდა მთელი ქალაქი რამდენსამე უბნად უნდა გაყოფილიყო და ყოველსავე უბანს თავის მკურნალი ჰყოლოდა, რომელსაც უნდა თვალი ედევნა სხვა-და-სხვა გადამდებ სენისათვის და ღარიბ მცხოვრებთათვის უსასყიდლოდ ეწამლა. ამ აზრის შესასრულებლად ამორჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც შეადგინა ვრცელი წესდება 109 მუხლისაგან შემდგარი. ეს წესდება უნდა საბჭოსაც განეხილა. წინააღმდეგნი ჯერ იმას ეცადენ განხილვა ახალ საბჭოს ამორჩევამდე გადაედოთ, მაგრამ ამან რომ ვერ გასჭრა, სხვაფრივ სცადეს საქმის ჩაფარცხვა.

უნდა თქვენი თვალით გენახათ, თქვენი ყურით გაგეგონათ, რად გარდაჰქმნეს ზოგიერთა ხმოსნებმა მათდამი მინიჭებული უფლება სიტყვისა. ამაოდ ცდილობდა ქალაქის თავი დაერწმუნებინა კრება რომ ასე საქმის გაჭიანურება არ ივარგებსო; რომ ხოლერა მომავალია, სხვა-და-სხვა გადამდები სენი ახლავე ედება ქალაქის ხალხს და რაც შეიძლება საჩქაროდ უნდა მივიღოთ კომისიისაგან წარმოდგენილი წესი, დავნიშნოთ ექიმები, რიგზედ შევუდგეთ საქმეს და მომზადებულნი დაუხვდეთ მოსალოდნელ ავ სტუმრებსაო. ქალაქის თავის დაბეჯითებულმა სიტყვებმაც ვერა ჰქნა-რა. კომისიის მოწინააღმდეგე ხმოსნები ჩაუკირკიტდენ თითო ფრაზას, თითო სიტყვას, თითო წერტილს და მორთეს დაუცხრომელი წილადობილა და ბოლოს რაკი ნახეს, რომ 109 მუხლში ექვსი განიხილა საბჭომ და თავისას მაინც არ იშლიდა,—იხმარეს უკანასკნელი ღონე: წამოვარდა თვით ბაირახტარი ახალის წესის მოწინააღმდეგეთა, გავიდა გარედ. მას მიჰყვა ორი სამი კიდევ სხვაც და ამ სახით საბჭოში დარჩა 24 ხმოსანზედ ნაკლები, რომელთაც კანონისამებრ ნება აღარა ჰქონდათ ამ სხდომაზედ საქმეების განხილვისა...

წესდებას საბჭო მაინც განიხილავს; თუ თავის დროზედ არა, ცოტა გვიან მაინც მიიღებს, მაგრამ რა პასუხი უნდა გასცენ თავიანთ ამომრჩევლებს იმათ, რომელნიც ამ გვარად აბრკოლებენ ქალაქის ხალხისათვის და არა პირადად ვისთვისმე სასარგებლოდ განზრახულს წესდებულებას?

გაზეთებში გამოცხადებულია, რომ თებერვლის 14 დანიშნულია საგანგებო კრება ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა სამის საგნის განსახილავად 1) 15000 მანეთის გადადებისა კახეთის გზის გამოსაკვლევად 2) ასი თუმნის მიცემისა იმ პირისადმი, რომელმაც უნდა შეადგინოს მოხსენება ხიზნებზედ წესდებულების შეცვლის შესახებ და 3) კონვერსიის ნების განახლებისა გამგეობისადმი.

ამ უკანასკნელი საგნის შესახებ საგანგებო კრება შარშანწინაც იყო; კრებამ მისცა უფლება გამგეობას კონვერსიის მოხდენისა, ესე იგი ექვს-პროცენტიანი სესხების ხუთ პროცენტიანად გარდაქმნისა, რომ ამით მსესხებელთ ყოველ წელს ათი-ათს თუმნამდე შეღავათი ჰქონოდათ და თუმცა გამგეობის წევრნი ორჯერ სამჯერ იყვნენ პეტერბურგში ამ საქმის გამო, მაინც არ ვიცით, თუ რითი გათავდა ეს საქმე და ან ახლა ამ უფლებას განახლება რადა სჭირდება. იმედია, ამ სხდომაზედ გამგეობა ვრცელს მოხსენებას წარმოუდგენს კრებას და შეფერხების მიზეზს დაწვრილებით აუხსნის.

## თეატრი

**საზოგადო საქმე**, კომედია 4 მოქმედებად დ. ერისთავისა.

**არც იქით, არც აქეთ** ვოდევილი, გადმოკეთებული ვ. გუნიას მიერ.

თ-დი დ. ერისთვის კომედია, „საზოგადო საქმე" პირველად იანვრის 27 წარმოადგინეს ქართულ სცენაზე.

რაც უნდა შეუმუშავებლად მოგვჩვენებოდა ეს თხზულება, ჩვენ მაინც დრამატულ მწერლობაში ნაბიჯის წინ წადგმად მიგვაჩნია ეს კომედია, რადგან ამ კომედიაში აღნიშნულია ერთი ფრიად შესანიშნავი მოვლენა. ეს არის ბრძოლა ახალსა და ძველს თაობას შორის საზოგადო ასპარეზზედ.

შინაარსი კომედიისა ასეთია: გენწის-ყრაა. თავად-აზნაურების წინამძღოლის მოპირდაპირედ გამოჭყავთ უმაღლეს სასწავლებელში განათლებული ახალგაზდა კაცი, რომელიც აღჭურვილია, სიტყვიერად მაინც, მაღალი ზნეობით და უნდა საზოგადოებაში ჩათესოს პატიოსნება და ყოველი ბოროტ-მოქმედება აღხოცოს. ამისნი მომხრენი არიან მთელი ახალგაზდების დასი. ამ ახალგაზდა კანდიდატს წარმოუთქვამს რაღაც ბრწყინვალე სიტყვა საზოგადო კრებაზე და ეს საკმაო ყოფილა, რომ იგი ერთხმად ამოერჩიათ. იმას ადევნებია მართლაც რაღაც ახირებული დასი ახალგაზდობისა, რომელიც მხოლოდ იძახის, ჩვენ ბოროტება უნდა მოვსპოთო და მეტს არას აკეთებს, გარდა ჭამა-სმისა და ჭორიკანაობისა. ამის გამოც ძველი თავად-აზნაურობის წინამძღოლი სამართლიანად ამტკიცებს, რომ იმის წინააღმდეგ მხოლოდ ინტრიგას ეწევიან, თორემ ნამდვილს საკეთილდღეო საქმეს არავინ ზრუნავსო.

თვით ახალ-თაობის წარმომადგენელი, რომელიც ამორჩეულ იქმნა თავად-აზნაურობის წინამძღოლად, გატა-

ცებულია ძველი მარშლის ქალის სიყვარულითა და ჰსურს შეირთოს. ქალიც, რასაკვირველია, შეყვარებულია; მაგრამ რაკი შეიტყობს, რომ იმის მამის წინააღმდეგ ამ ურჩევით, აღარ უნდა გაჰყვეს და თითქოს გულიც ამოურეცხია. ამ დროს აღმოჩნდება, რომ სათავად-აზნაურო ფული გადაყენებულს წინამძღოლს გაუფლანგავს და უპირებენ სამართალში მიცემას. მამაც ცდილობს თავისი ქალი ვიღაც მდიდარს არტემოვს მიათხოვოს და სიძის ფულით შეავსოს გაფლანგული. მაგრამ ბოლოს ისე მოხდება, რომ ახალი ამორჩეული მარშლის მამა თვითონ კისრულობს იმ ფულის გადახდას, რადგან შეუტყვია, რომ გაიძვერას ნამარშლეს მისი შვილისთვის დაუტყუებია რაღაც სასიფათო დოკუმენტი, რომლის გამოც შესაძლებელი იყო ჩირქი მოსცხებოდა ახალს მარშალს

საქმე დაბოლოვდება კეთილად, ესე იგი ძველისა და ახალის თაობის წარმომადგენლების შერიგებით და მოყვარული ქალ-ვაჟის ბედნიერებით.

ამ შინაარსიდან სჩანს, რომ მართლაც ახალი კომედიის საგანი ძალიან საინტერესოა და ცოტად თუ ბევრად აღნიშნავს ამ დროის ვითარებას ჩვენის საზოგადოებისას. მხოლოდ საქმე იმაშია, რამდენად მართლად არის დახატული ცხოვრების სურათი, ან რამდენად ნამდვილია ის ნიადაგი, რომელიც ჩვენს დრამატურღს აღუნიშნავს?...

ჩვენი საზოგადო ცხოვრება ჯერ კიდევ იმდენად არ არის განათლების გზაზე წინ წასული, რომ განათლებული წოდება მთელს დასს შეადგენდეს. მართალია ჩვენ გვყავს განათლებულთა და გონება-განვითარებულთა წრეხი, მაგრამ დასი კი არა გვყავს. ამ მცირე გონება-განვითარებულთა წრეებში მოიპოვებიან საკმაო სამშობლოს მოღვაწენი, რომელნიც, ცოტად თუ ბევრად, ფერს სდებენ ჩვენს საზოგადო ცხოვრებას. მხოლოდ ჯერ კი შორს არის ის დრო, როდესაც ეს განათლებულთა წრე შეიქნება საზოგადოებაში დასად და თან გაიყოლიებს მთელს ერს წარმატების და კეთილ-დღეობის გზაზე. მაშასადამე ჩვენს საზოგადოებაში როცა რაიმე საზოგადო საქმეზე ბრძოლა ატყდება, მაშინ ზოგი განათლებულთა წრეები ერთ ნაწილს საზოგადოებისას ემხრობა, ზოგი-მეორეს. თვითონ კი თავის თავად ჯერ საკმაო ღონე არა აქვს; მაშინ როდესაც თ. დ. ერისთვის კომედიაში „საზოგადო საქმე“ თითქოს ასპარეზზედ გამოსულან ორი ერთმანეთის წინააღმდეგი დასი: ერთია განათლებული, მეორე გაუნათლებელი. განათლებული გაუნათლებელსა სძლევს რაღაც ინტრიგების დრომით. და ან კი ვინ არიან ეს უმაღლესი ზნე-ხონიერების წარმომადგენელნი?... ვიღაც ახირებული ფრაკიანები, რომელთაც მთელი თავის იდეალი სადილების გამართვაში და შამფანსკების სმაში ჩაუღრჩვიათ.

ამისგამო არ შეგვიძლია არ ვუსაყვედუროთ ჩვენს დრამატურღს, რომ იმას ვერც ცხოვრების ნიადაგი აღუნიშნავს მართლად და თვით ტიპებიც უცხონი არიან ჩვენის ცხოვრება-ვითარებისა. როგორც ეტყობა, ეს კომედია შექმნილია უფრო უცხო ცხოვრების გავლენას ქვეშ.

მხოლოდ ძველს მარშალს, კნიაზს სასლანიანს, და ერთ გვარის ცრუ ახალთაობის ტიპს, სიკოს, ეტყობოდა ჩვენს ცხოვრებაში აღზრდილთა ფერი, მაგრამ ისიც მეტად მკრთალად. საზოგადოდ ამ კომედიას აჩნია კვალი მეუმუმავებლობისა, მაგრამ კიდევ უფრო მკრთალი შთაბეჭდილება მოახდინა ამ კომედიამ მოთამაშეთა მოუმზადებლობის გამო. იმათ ნაკლებად იცოდნენ თავიანთ როლები და ვერც მოესწროთ გამოხატვა თვით ტიპებისა.

ბ. გ. აბაშიძემ გაგვიცოცხლა ისეთი უმაწვილი კაცის პიროვნება, რომელიც არც ნამდვილს გონება-განვითარებულს კაცს ეკუთვნის და არც სულ გაუნათლებელს. იმას იქნება არც კი დაუსრულებია საშუალო სასწავლებელი. აქა-იქ გაუგონია თითო-ოროლა მაღალ ფრაზოვანი აზრები და იძახის ახალი თაობის მიმქოლი ვართ. დილადან სადამომდის დარბის, ჭორიკანაობს, ვიზიტებს აკეთებს, მუდამ დაუპატიჟებელი სტუმარია, ატარებს უდარდელად დროს და ყოველ საქმეში ერევა.

ამის შემხედვარემ, რა გასაკვირია, რომ ძველის თაობის წარმომადგენელმა მართლაც ყოველს საზოგადო საქმეს ინტრიგა უწოდოს. ეს უკანასკნელი ტიპი, მართლაც, რომ ჩვენი ცხოვრების ნაყოფია.

ბ. გ. გუნიას ვერ ვაპატივებთ მის დაუდევრობას, მით უფრო რომ ის ნიჭიერი აქტიორია და დრამატურღს როლებს კარგად თამაშობს, როცა მოინდომებს. მისმა ერთნაირმა კილომ, სიზანტემ და უსიცოცხლო მიხვრა-მოხვრამ მაყურებლებს ძილი მოჰგვარა. პირველი მოვალეობა ყოველის აქტიორისა, როცა იგი სცენაზედ მოქმედობს,ის არის, რომ მკვირცხლად თამაშობდეს, სიცოცხლის მაჯა უცემდეს. ბ. გუნიას კი, თითქოს ემინება, ისე ზანტად ეჭირა თავი სცენაზე. ამას გარდა იმას არა აქვს საზოგადოდ ნამდვილი ქართული კილო გამოთქმაში, — სიტყვებს ბოლოებს ჰკვეცს, თითქოს ვიღაც უკანიდან მოსდევდეს და აშურებდეს ჩქარა წამოისროლოს, რაც სათქმელი აქვს. ქართულ ენას უფრო შვენის თანასწორად სმის დაკვრა და გამოთქმა სიტყვებისა.

ბ. გედევანიშვილს ეტყობა ნამდვილი ნიჭი აქტიორობისა; მაგრამ ახირებული გამოთქმა აქვს, თითქოს ფრანგების პატრებთან უსწავლია ქართული ენა. მაინც შეატყობ, რომ ნაძალადევად ლაპარაკობს.

—

ვ. გუნიას გადაკეთებულმა ვოდევილმა არც აქეთ და არც იქით დიდი მხიარულება გამოიწვია მაყურებლებისა. ვ. აბაშიძე მშიერის აქტიორის ტარასის როლში მეტად ჩინებული იყო. მისს ოხუნჯობას და ხელოვნურს მიხვრა-მოხვრას საზღვარი არა ჰქონდა და დიდი სიამოვნებაც გამოაცდევინა საზოგადოებას. ეს ვოდევილი სწორედ კარგი შესამატია ქართულის რეპერტუარისა.

## ბერიკობა

ბერიკების თამაში შემოღებულია ჩვენში ყველიერის გასულს და რადგან ყველიერი უფრო ხშირად გაზაფხულის დამდეგს მოხდება ხოლმე, ამისთვის საგულისხმოა, რომ ამ ბერიკების თამაშს და ძველ კერპთაყვანის-მცემლობის დროის ლიტანიობას, გაზაფხულის დღესასწაულობას შორის დიდი კავშირი იყოს. მართლაც ის ბევრად მიემგზავსება საბერძნეთის ღმერთების: დემეტრისა და დიონოსის დღესასწაულობას, რომელიც მოხდებოდა ხოლმე ყოველ გაზაფხულს. მაგრამ ვიდრე ბერიკობის საიდუმლო აზრს გამოვიკვლევდეთ, ჯერ უნდა აღვსწეროთ ჩვენებური ბერიკობა. რა-და-რა ალაგას იციან ბერიკობა? ეს თამაში საზოგადოდ თითქმის ყოველ საქართველოს კუთხეში სცოდნიათ.

მოირთვება კაცი ქალურად, ან და სახეზე ქალის მასკას ჩამოიფარებს. მეორე კაცი კი ან ღორის, ან ვირის, ან სხვა ცხოველის თავს ჩამოიფხატებს და ზურგზედ იმავ ცხოველის ტყავს წამოიხურავს. ვისაც ტყავი არა აქვს, მის მაგიერად ნაბადს მოისხამს. ეს ორი მასკებიანი კაცად და ქალად მორთულნი პირები თამაშობაში ერთმანეთს ეარშიყებიან. მესამე პირი თხის რქებს გაიკეთებს თავზე და თუ მოახერხა თხის ჩლიქებზედაც შედგება. მეოთხე პირი უმასკოდ არის და ხელში უჭირავს ორი ხის ხანჯალი, რომელსაც თამაშობის დროს ერთმანეთს ურაკუნებს. ამათ აედევნებათ საზანდარი და ერთსაც კალათი უჭირავს ხელში კვერცხების მოსაგროვებლად. ეს ხუთი კაცი დადის სოფლად ოჯახიდან ოჯახში. მესაზანდრე დაუკრავს სტვირს, ხის ხანჯლებიანი არაკუნებს და მეფე დედოფალი თამაშობენ. რომელიც თხის მასკით არის მორთული, ის ხან ქალთან მიდა, ხან კაცთან და ყურში უჩურჩულებს, მხოლოდ ერიდება ხანჯლებიან კაცს და მისკენ არ გაივლის. თხის მასკაც აყვება მეფე-დედოფლის თამაშს, ხტის და იგრიხება. სოფლელები იკრიბებიან იმათ თამაშობაზე და იცინიან. ამათი თამაში უფრო მსახიობითია და ჰგავს წარმოდგენას. როცა თამაშობას ანუ, უკედ ვთქვათ, წარმოდგენას გაათავებენ, შემდეგ მიდა ის კაცი, ვისაც კალათი უჭირავს და სთხოვს კვერცხს ოჯახის პატრონს ამ სიტყვებით:

„ალათასა, მალათასა,
ხელი ჩაყავ კალათასა,
ერთი კვერცხი შიგ ჩადევი,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა“.

ამ გვარად იციან ბერიკობის წარმოდგენა ზემო იმერეთშიაც. აჭარაში ცოტა შეცვლით სცოდნიათ ბერიკობის თამაში. იქ ეს თამაში უფრო მიემგზავსება ძველ ბერძნულ დიონისეს დღესასწაულის საიდუმლოებას:

იქ ორი ახალგაზდა ბიჭი გადგებიან ბანზე ერთი მეორის პირდაპირ. ერთი ქალურად თამაშობს, მეორე კაცურად, ხან დაუახლოვდებიან ერთმანეთს, ხან გაშორდებიან და მუდამ ერთს ხაზზე თამაშობენ. მესამე ბიჭი თხის მაგიერობას ასრულებს; ის ამ დროს უვლის გარს ორივე მოთამაშეს, ხან ერთს წასწვდება ყურთან, ხან მეორეს, თითქოს რაღასაც უჩურჩულებს და აცდენსო. ამ დროს ისე უწმაწურად იგრიხება ეს თხის მასკა, რომ მისი გრეხა რაღაც უზნეობას გამოხატავს. საზანდრის მაგიერად აქ უკვრენ რქის მოკლე სტვირსა, რომელიც თხის ბანჯგვლიან გუდაზედ არის მიმაგრებული. დამკვრელი გაბერავს გუდას და დაუკრავს საზანდარივით. ეს თხის გუდა რქის სტვირიანი ძალიან მიემგზავსება ძველი დროის ბერძნების სტვირ-ქამანჩას, პარისის გუდას.

ძველს საბერძნეთში, ხუთასის წლის წინად ქრისტეს მოსვლამდის, ამისთანა თამაშობას ლვდელ-მოქმედებითი და ლიტანიობის სახე ჰქონდა. იყო ერთი ქოჩორა ტყე ათინიდან აღმოსავლეთისკენ ოთხის საათის სავალზე, რომელსაც ეძახდენ ელევზინს. იქ იყო ბახუსის, ანუ დიონისე ღმერთის ტაძარი და აგრეთვე საკურთხეველი ღვთის დემეტრესი. დემეტრე იყო ბერძნების გამოხატულებით დედამიწის წარმომადგენელი, მიწის ნაყოფიერების ღმერთი. ბახუსი ყურძნის ღმერთი, მომნიჭებელი მხიარულებისა და განცხრომისა.

კერპ-თაყვანის მცემლობაში ბერძნებს სწამდათ, რომ დემეტრე ღმერთს თავისი ქალი პერსეფონა დაეკარგა ელევზინის ტყეში. ცხრა დღე მოიარა ამ ღმერთმა მთელი დედამიწის ზურგი და გადააბრუნა მთელი ზღვებისა და უკიანების ძირები. ბოლოს იმან შეიტყო, რომ მისი ქალი მოუტაცნია ჯოჯოხეთის ღმერთს ლადეს, *) შეურთავს და ქვესკნელში წაუყვანია. ეს ზღაპარი რომელსაც ბერძნები თავის ენაზე მითს უწოდებენ, მოგონილია ზამთარ-ზაფხულის მოვლენის ასახსნელად. ბერძნის ერს ზამთარ-ზაფხული წარმოდგენილი ჰქონდა ამ გვარად, რომ ბუნება, მუდამ ამწვანებულ-ყვავილოვანი და მომხიარულე, წელიწადში ექვსი თვე ზამთრისგან, ესე იგი თოვლ-ყინვისაგან დაიტყვევებოდა და ამის გამო დგებოდა საყოველთაო მწუხარება. აქ ღმერთი დემეტრე, მათი ფიქრით, იგლოვდა თავის ქალის, პერსეფონის (ბუნების) მოტაცებას და დატყვევებას ყინვა-სიცივის მიერ. შემდეგ გაზაფხულის დადგომა, ტყე-ველის აყვავება და პურის ჯეჯილის ამოსვლა მოასწავებდა პერსეფონის დახსნას ტყვეობისაგან. აი, ეს დახსნა ბუნებისა გაზაფხულის პირზე სადღესასწაულო რამ იყო

*) ლადო ქართულად ნიშნავს მთის ნაპრალს.



მთელი საბერძნეთის ერისთვის და ამის გამო წარმოსდგა ელევზინის დღესასწაულობა ყოველ გაზაფხულზე და შემოდგომაზე. ამ დღესასწაულობის წინად ბერძნები შეუდგებოდენ მარხულობას და ლოცვას. აგრეთვე განიბანდენ ტანს და ცოდვებს მოინანებდენ. ეს მარხულობა გასტანდა ექვს დღეს, შემდეგ შეუდგებოდენ ლიტანიობას. მთელი ხალხი მწყობრად განემგზავრებოდა ათინის ქალაქიდან ელევზინის ტყეში, სადაც დემეტრისა და დიონისის ტაძრები იდგა, მსხვერპლის შესაწირავად. იმ დღესვე ათინიდან გამოასვენებდენ ბახუსის, ანუ დიონისე ღმერთის სურათს. მას გამოჰყვებოდა არამც თუ მთელი ქალაქის ხალხი, შორიდან მოსულებიც კი სადღესასწაულოდ. ისინი მრავალ-ნაირს საკრავებს უკრავდენ, გალობდენ, ლიტანიობაში ჩაერეოდენ სამასხროდ მორთული ბერიკები, ცეკვავდენ, სახუმაროდ იგრიხებოდენ და იყვნენ სხვა და სხვა ნაირ მასკებით მორთულნი. მათი ხმაურობა, საკრავების ცემა, სიცილი, გალობა, სიმღერა და მხიარულება შორს გაისმოდა. ელევზინის ტყეში იყო დიდი გალავანი და იმ გალავანში პერიკლეს მიერ იყო აგებული სვეტებიანი დიდებული და ვრცელი ქვის ფარდული. ამ ფარდულში წარმოადგენდენ ბერიკებად მორთულნი მასკებიანი მოთამაშეები ღვთის დემეტრეს გამწარებულს ძებნას თავის ქალის პერსეფონისას და ბახუსის ან დიონისეს ლომებით მოგზაურობას ინდოეთიდან საბერძნეთში.

აი, ამ თამაშობას და წარმოდგენას ეძახდენ ისინი ტრაღედიას. ეს სიტყვა წარმოსდგა ბერძნულის სიტყვისაგან ტრაღოს—ჩვენებურად კი თხა, ანუ თხის თამაში. როგორც იქ ეს ტრაღედია სადღეთო წარმოდგენა იყო, ისე ჩვენს ქვეყანაშიაც ბერიკობა წარმოადგენდა, ჩემის აზრით, კერპ-თაყვანის მცემლობის დროს თხის სახედ მოელენილს ტყის ღმერთს, ანუ ტყის სულის მოჩვენებას ქალ-ვაჟის შესაცდენად.

ამ სახით ბერიკობის თამაშის ისტორიულად განმარტებისათვის ჩვენ უნდა დავუკვირდეთ იმ პირველდაწყებითს კაცობრიობის მდგომარეობას, როცა მისი ყმაწვილური გონება მეტად შეშინებული იყო ბუნების მოვლენისაგან და მის საიდუმლოებაში ეძებდა თავის ბედის წერის მიზეზს. დამფრთხალი მისი გონება მოჩვენებებით იყო გარემოცული და შეპყრობილი. რასაც ჯერ ვერ მიმხვდარიყო თავის ჭკუით, იმისი ეშინოდა, თაყვანს სცემდა და ღმერთად აღიარებდა; იმას ევედრებოდა და სწირავდა მსხვერპლს, რომ არ გაერისხებინა და მისგამო უბედურება რამე არ შემთხვეოდა.

საცა ჯერ კიდევ კაცობრიობა არ დაშინაურებულიყო, იქ ერი საქონელს აშენებდა და იმას ერეკებოდა, იმითი იკვებებოდა. საითაც ჯოგი წავიდოდა კარგ ბალახისათვის, მწყემსებად გადაქმნილი მთელი ერიც უკან მისდევდა თავის ჯოგსა, ისიც მთაბარაობდა. ის მომთაბარე ერი, რომელიც მთებში და კლდეებში ცხოვრებდა, ბევრათ განირჩეოდა მინდვრის მაწანწალა ხალხისაგან. ღორღიან ადგილებში მცხოვრები ერი აშენებდა უფრო თხების ჯოგებს, რადგან თხა მართლაც სხვა საქონელზე უფრო ხეიროზს კლდიანსა და მწირს მთიანს ადგილებში. ის იკვებება უფრო ნეკრით. აი, ამისთანა ერი, რომელსაც დასაბამითგანვე მთიან და კლდიან ადგილებში უცხოვრია, შეჩვევია თხის ჯოგსა და მისი შემაცდენელი და შემშინებელი ღმერთი ტყე, ანუ ტყის სული წარმოუდგენია ამ თხის სახეთ. მართლაც თხა მეტად ეშმაკი, მოძრავი, მარდი არსებაა, რომელიც დაჩხოკინობს კლდეებში ნეკრის საძებრათ: ხან გამოჩნდება ოღრო-ჩოღროში, ხან გადმოდგება რომელსამე მიუვალს კლდის წვერზე მოჩვენებასავით. იმ დროებაში ახალგაზდა ქალი და ვაჟი, თხების მწყემსები, ბევრს მწუხარებას გამოსცდიდენ კლდის ღადა-ღუდებში დაუდგრომელის და გადაკარგულის რომლისამე თხის ძებნაში. უეჭველია ამ დროს ხშირად შეხვდებოდათ ახალგაზდა ქალ-ვაჟს ერთად შეხვედრა და ერთმანეთში პირველი სიყვარულის აგზნება;ბევრს ამისთანა სიყვარულს ცხოვრების უბედურებაც მოჰყვებოდა; და, აი, ამ უბედურების მიზეზად უნდა გამხდარიყო ტყის ღმერთის ძალა — ეშმაკი თხის სახით მოელენილი. ასეთი დასაბამი აქვს ბერიკობის ლეგენდასა. ამას ქრისტიანობაშიც გაუკეთებია ძირი, რადგან ქრისტიანულის ლეგენდისა და რწმუნებისამებრ თხა არის წარმომადგენელი ავის სულისა, ეშმაკისა და ცხვარი კეთილის სულისა, ანგელოზისა.

ძველს საბერძნეთის ისტორიაში, ესრედ წოდებულს, ეტრურიის ჭურჭლებზედ ხშირად არის გამოხატული ტრაღედიის თამაში, ანუ ჩვენებური ბერიკობა. ამ ნახატებზე თამაშობენ ქალ-ვაჟნი, მესტვირე სტვირ-ქამანჩას უკრავს და თხის მასკაში მორთული, თხის რქებიან-ჩლიქებიანი, ესრედ წოდებული სატირა, თან ჰყვება ქალ-ვაჟს თამაშს და ჰსურს ისინი დაახლოვოს, შეაცდინოს და გაერიოს მათ მომავალს ბედ-იღბალში.

ამ ტრაღედიიდან (თხის თამაშიდან), ანუ ჩვენებურ ბერიკობიდან წარმოსდგა ის დიდებული ჩვენი დროის განათლებული თეატრი და სცენა, რომელიც პირველად ძველს საბერძნეთში შეიმუშავა დიდმა ტრაღედიების მწერალმა ესხილმა, შემდეგ წარმატებაში შეიყვანა სოფოკლემ და ევრიპიდმა, ბოლოს დაამთავრა შექსპირმა და დღევანდელს ცხოვრების კალაპოტზე მოაწყო გეტემ და შილლერმა. ჩვენი დროის დრამატურღებსა კი, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპაში, ისე რუსეთში და ჩვენში სულ ზემოხსენებულის დიდებულის მწერლების ნაწარმოები აქვთ ნიმუშად.

ამ სახით, როგორც ყოველი მკითხველი მიხვდება, ამ დროის დრამას და კომედიას მამა პაპათ ჰყოლია ბერიკობის თამაში, რომელსაც ელლინები მისტერიებათ უწოდებდენ.

გ. წერეთელი.

## წვრილი ამბები

ამ ცოტა ხანში ტფილისში გაიხსნება ბრმების თავ-შესაფარი, სადაც იმათ ასწავლიან წერა-კითხვას და ხელოსნობას; ამის გულისათვის განგებ გაგზავნილი იყო პეტერბურგში აბაშიძის ქალი, ბოლუევსკის ქვრივი, რომ მას ზედმიწევნით გაეცნო, თუ რა წესით უნდა ბრმებს სწავლება. ჩვენ შევიტყეთ, რომ ბრმების დასაბინავებლად სადგომი კიდეც დაუქერიათ ნიკოლოზის ქუჩაზე.

ქართულ წრეს ბაქოში გაუმართავს წარმოდგენა და შემოსვლია ოთხას თუმნამდის; ნახევარი ამ ფულისა გადადებულია ჩვენი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ და ნახევარი ხოლერით დაზარალებულ ოჯახთათვის.

ბაქოელ ქართველების წრისაგან მოუვიდა „ჯეჯილი“-ს რედაქციას 40 მანეთი, რომ ამ ფულით უგზავნოს 10 ღარიბ სკოლას ჟურნალი „ჯეჯილი“. ჯერ-ჯერობით რედაქციამ გაუგზავნა 3 სკოლას: წინამძღვარიანთ კარის, რუისის და კაკუთის სკოლებს.

ქუთაისიდან გვაცნობებენ. რომ ბ. თოფურიას განუზრახავს თავის საავადმყოფოში სამკითხველოს გამართვა. იმედია ყველა თანაგრძნობით მიიღებს ასეთ განზრახვას და ხელს გაუმართავს წიგნების შეწირვით.

* * *

მე არ მსურს მოვკვდე ტკივილებით
დასუსტებული,
ღონე-მიმხდარი, ჩამომხმარი,
გაყვითლებული;
მე არ მსურს მოვკვდე ბნელს ოთახში,
ხმელ ლოგინზედა,
რომ თავს მტირალი მადგეს მარტო
საწყალი დედა!

—

მე მინდა მოვკვდე ბრძოლისა ველზე,
სად მჩაგვრელები დამარცხდებიან
და დაჩაგრულთა, გამარჯვებულთა
დროშანი მაღლა აიშლებიან,
გარს მეხვეოდეს, მინდა, მზის სხივი;
მესმოდეს ფრინველთ ჟივილ-ხივილი,
და ჩემზე თქმული ამხანაგთაგან:
„სახარბიელო, აი, სიკვდილი!“

დუტუ მეგრელი

## გეგუთის სამეფო სასახლე

### ციხე-დარბაზი

ერთი შესანიშნავთაგანი ნაშთი უძველესის საქართველოს ხუროთ-მოძღვრებისა არის ციხე-დარბაზის ნანგრევი, რომელიც მდებარებს რიონის პირად მარჯვენით, ქუთაისიდან შვიდ ვერსტზე სამხრით, სოფლის გეგუთის მახლობლად. ვახუშტის მოწმობით, ეს ნანგრევი უნდა იყოს ნაშთი მეჩეთისა, აშენებული თურქთაგან საქართველოს მეფის გიორგი პირველის დროსა. მაგრამ არც „ქართლის ცხოვრება“, არც თვით გეგმა ნანგრევისა არ გვაძლევს საბუთს, რომ ამ ნანგრევს რაიმე მეჩეთის მგზავსება ეტყობოდეს. თვით ვახუშტის აწერილობა ციხე-დარბაზისა ეწინააღმდეგება მისგანვე წარმოთქმულს აზრსა. ის ამბობს: ეს ნანგრევიაო „მრავალ პალატოვანი, დიდნი და მცირედნი, თლილი ქვისა, უწოდებენ ციხე-დარბაზსაო“. თუ კი მეჩეთი იყო, მრავალ-პალატოვანი რაღად იქნებოდა. ბროსსე უარს ჰყოფს ვახუშტის მიერ გამოთქმულს აზრს შემდეგი სიტყვებით: „არა ვითარი საბუთით არ მტკიცდება, რომ გეგუთს ოდესმე მეჩეთი ყოფილიყოს აგებულიო“.

დიუბუას თავის აღწერილობაში აქვს დაწერილებით დახატული ხუროთ-მოძღვრებითს გეგმაზე ციხე-დარბაზის ნანგრევი და მისი დაწვრილებითი აწერილობა ამ ნანგრევისა ცხადად ამტკიცებს, რომ ეს ციხე-დარბაზი ყოფილა დიდებული მეფის სასახლე მეთერთმეტე საუკუნისა და, შესაძლებელია, იმაზედ ადრეც ყოფილიყოს აგებული. ჩვენ ვიცით, რომ აფხაზთა მეფემ ლეონ II გადმოიტანა ტახტი ანაკოფიიდან ქუთაისს მეცხრე საუკუნეში და შექმნა



იგი სამეფო ქალაქად, როგორც უფრო შუაგული წერტილი აფხაზეთის სამეფოისა. ბაგრატ მე-III (1001—1027 ქრ. აქეთ) განაერცელა და განაშვენიერა ქუთაისის ქალაქი დიდებული საკრებულო ტაძრით, სასახლეებით, გალაენით და ციხე-კოშკებით. მაგრამ ამასთანავე ვიცით, რომ ზამთრობით გეგუთს იდგა ხოლმე, რადგან ეს ალაგი თბილი ჰაეით და მშვენიერი სანადირო-სახოხბე და სათევზე ალაგებით იყო შემკული. უეჭველად ციხე-დარბაზი მაშინ უნდა ყოფილიყო აგებული, რადგან მის გეგმას ეტყობა ის დიდებული ხუროთ-მოძღვრების ხასიათი, რომლითაც განირჩევა მეცხრე და მეათე საუკუნის ნაშთი შენობებისა, როგორც საეკლესიო, ისე საერო. დიუბუა ასწერს ციხე-დარბაზის ნანგრევს შემდეგი სიტყვებით: ეს დიდებული სასახლე ყოფილა თვით რიონზე გადადგმული და ერთი ტოტი რიონისა ყოფილა გადმოშვებული დიდი არხით და ალბად გარე-უვლიდა თვით სასახლეს და მის წალკოტს, ანუ ბაღჩას. დღეს რიონის მდინარე დაშორებია კარგა მანძილზე ამ სასახლის ნანგრევს და არხიც გაუქმებულა, მაგრამ არხის კვალი კიდევ ეტყობა. სასახლეს შუაგულ ჰქონია დიდი დარბაზი გუმბათით შეკრული და ფრიად ერცელი ყოფილა; მას წინ ჰქონია სვეტების ფარდული ქვით აგებული (ფორუმი) და ამ ფარდულში შესასვლელი კარი ისეთი მაღალი და განიერი, რომ ცხენოსანი ჯოცი თავისუფლად შევიდოდაო. ცალმხრით ამ დარბაზს მიშენებული ჰქონია სასახლის ოთახები, უფრო მაღლობზე, ასე რომ დარბაზიდან იმ ოთახებში კიბით ადიოდენ. მეორე მხრით კიდევ ყოფილა მრავალ-გვარი შენობები და სხვ.

„ქართლის ცხოვრებიდან" ვიცით, რომ ეს გეგუთის სამეფო სასახლე, დღეს ციხე-დარბაზად წოდებული, ყოფილა საზამთრო საყვარელი ადგილ-სადგომი დავით ალმაშენებლისა, გიორგი მესამისა, თამარ მეფისა, რუსუდანისა და დავით ნარინისა.

როდესაც „ვეფხის ტყაოსანში" ვკითხულობთ ფარსადან მეფის სასახლის აწერილობას, სადაც ტარიელმა პირველად დაინახა განის ოთახში ნესტან დარეჯანი, თითქოს ერწმუნდებით, რომ ჩვენს დიდებულს პოეტს ეს ციხე-დარბაზი სდგომია თვალ-წინ თავის უკვდავის პოემის წერის დროსა.

„მეფემან სახლი ააგო,
შიგან სამყოფი ქალისა...
პირსა ბაღჩა, და საბანლად
სარაჯი ვარდის წყალისა..."

„სრა ედგა მოფარდაგული,
ოქსინოთა და შადითა...
ვერვინ ვხედავდით, შეიქმნა
პირითა მინავარდითა....

„დღესა ერთსა მე და მეფე
მოვიდოდით, გვენადირა,
ბაღჩა ვნახე უტურფესი
ყოვლისავე სალხინოსა,
ფრინველთაგან ხმა ისმოდა
უამესი სირინოსა,
მრავლად იყო სარაჯები
ვარდის წყლისა აბანოსა...
კარსა ზედა მოფარვიდა
ფარდაგები ოქსინოსა...

მეფე გარდახდა მუნ, სადა
კოშკია ბაზარგებითა...
შინა შევედით, სრა დაგვხვდა,
მოცული ფარდაგებითა...
მე, გარეთ ვსდეგ, და მეფემან
შევლო ფარდაგი კარისა...
ასმათ ფარდაგსა აზიდნა,
გარეთ ვსდეგ მოფარდაგულსა... და სხვ.

სამწუხაროა, რომ დღეს ეს ძვირფასი ძეგლი საქართველოს უმაღლესის განათლებისა მეთერთმეტე საუკუნეში ასე გაფოლორცებულია და გარდაბუნების სიმკაცრისა, მას მტრად ასჩენია თვით ქართველი შთამოება, რომელიც ნელნელა ანგრევს მიაქვს და იმისი ქვებით ახალს ქოხებს იშენებს.

საჭიროა ჩვენმა გონება-განვითარებულმა შთამოებამ მიაქციოს ამ სამწუხარო მოვლენას თავისი ყურადღება. ამისთანა ნაშთების პატივისცემა და შენახვა ერთი იმ საშუალებათაგანია, რომლითაც დაიცვის ერის წარსული დიდება და მტლედ დაედება მომავალს აღორძინებას საქართველოს ერისას. მაშ ვისურვებთ, რომ ახლანდელ შთამოებას მეტი პატივის-ცემა ჰქონდეს ჩვენის წინაპრების ნამოქმედარისა. თუ კი რომ მათი ძვლებია ჩვენთვის წმინდა და ძვირფასი, კიდევ უფრო წმინდა და ხელ-შეუხებელი უნდა იყოს მათი გონების წარმოების კვალი და ნაშთი.

## მილიონებში ხელის-მრეველნი

ამ ოთხის წლის წინად დიდებულმა საფრანგეთმა დიდი ამბით იდღესასწაულა ასის წლის გამოვლა იმ დღიდან, რა დღესაც პირველად გაისმა ამ ქვეყანაში ხმა ძმობისა და თანასწორობისა. ამ ბრწყინვალე აზრით გატაცებულმა მთელი კაცობრიობა მიიწვია საქვეყნო გამოფენაზედ, სადაც თვალ წინ გადაუშალა აურიცხველი სიმდიდრე, ენით უთქმელი სხვა-და-სხვაობა თავის მონაგარის და მონაღვაწევისა. ვინ მოიფიქრებდა, რომ ეს გარეშე ბრწყინვალება, ეს თავ-მომწონე ამპარტავნება ჰფარავდა თავის კან ქვეშ მრავალს უწმინდურს სურვილს, ქვეყნის გაცარცვის წადილს განზრახულს და კიდეც შესრულებულს; რომ ოთხის წლის შემდეგ იმ პირებს, რომლებითაც ამ ქვეყანას ზვიადად თავი მოჰქონდა და რომლებზედაც ამაყად უთითებდა: აი ჩემნი მასახელებელნიო,—სამარცხვინო ბოძზედ გააკრავდა და მათი სახეებით დაასურათებდა ქაღალდის ფურცლებს, როგორც ავაზაკთა და ბოროტ-მომქმედთა სახეებით ასურათებენ! ვინ მოიფიქრებდა, მეთქი, რომ ჩირქი მოეცხობოდა დიდ ლესეპსს, სუეცის არხის გამყვანს; ავაზაკად დი მილიონების მპარავად ჩაითვლებოდა ეიფელი, რომელიც თავის მაღალი კოშკით თითქო ამ ქვეყნის ბიწიერებას მოშორებული ვარსკვლავებს ეთამაშებოდა; რომ ამ უწმინდურ პანამის საქმეში გაიბმოდა კლემანსო, უმჭევრმეტყველესი ორატორი აწინდელის საფრანგეთისა; რომ ამ ქსელ ქვეშ მოექცეოდენ ნამინისტრალები, სენატორები, ასზედ მეტი დეპუტატი, წარმომადგენელი საფრანგეთის ხალხისა, და რომ კბილი გაეკვროდა თვით პრეზიდენტს საფრანგეთისას სადი კარნოს!

ეს ყველა ძნელად მოსაფიქრებელია, მაგრამ ნამდვილი ამბავი კი არის.

ორ თვეზედ მეტია, რაც ამ ბოროტ-მოქმედებაზედ პირველად ამოიღეს ხმა საფრანგეთის პარლამენტში. დაინიშნა გამოძიება და მას შემდეგ ისე დღე არ გავა, რომ ახალ-ახალი პირი არ გაებას პანამის ქსელში. ჯერაც კიდევ ბევრი ამ ჟამად ეჭვ გარეშე მყოფი ვერ იტყვის, რომ ამ საქმეს მშვიდობით თავი დავაღწიეო. როგორც ასის წლის წინად დღეს გავლენიანსა და სხვების გამსამართლებელს ხვალ გილიოტინაზედ თავსა სჭრიდენ ქვეყნის ღალატისთვის, ისე ეხლა ვერც ერთი დეპუტატი, ვერც ერთი მინისტრი, თვით ვერც ერთი წევრი გამომძიებელ კომისიისა ვერ იტყვის, რომ პანამის არხისაგან აყენებული მტვერი მეც არ დამედებაო.

რა გამოარკვია ან გამოძიებამ, ან გამოძიების შემდეგ სასამართლოში საქმის წარმოებამ?

პანამის არხის გასაყვანად, რომელსაც დიდი ოკეანე ატლანტიდის ოკეანესთან უნდა შეეერთებინა, გაეადვილებინა ნავით მისვლა-მოსვლა, კაცობრიობის გაცალკევებულნი ნაწილნი ერთმანეთთან დაეახლოვებინა და ამით აურიცხველი სიმდიდრე და სიკეთე შეეძინა მთელის ქვეყნისთვის, ამ არხის გასაყვანად, ვამბობთ, დაუხარჯავთ ათას-ხუთას მილიონამდე ფრანკი (ფრანკის ფასი ეხლა ორ აბაზამდეა)... დაუხარჯავთო, ეს სიტყვა ცოტა უალაგოდ ვიხმარეთ. თვითონ არხზედ იქნება ნახევარიც არ დახარჯულა; დანარჩენი უნაყოფოდ გაბნეულა, მიმალულა და მოხმარებია შესყიდვასა და დაქრთამვას აი რა გზით და როგორ:

ერთი და ორი პირი, რასაკვირველია, ამოდენა ფულს ვერ გამოიღებდა. ეს ფული უნდა მოგროვილიყო მთელს ხალხში აქციებითა და ობლიგაციებით, ესე იგი იმ გზით, რა გზაც განათლებას შემოუღია სხვა-და-სხვა დიდ საჭიროებისათვის ფულის მოსაგროებლად. საქმე კერძო კამპანიასა ჰქონდა ნაკისრები და მოთავედ საქმისა უნდა დაეყენებინა იმისთანა პირები, რომელთაც ნდობა და სახელი აქვთ მოპოვებული. მოთავეს გარდა საჭირო იყო საზოგადოებაში თანაგრძნობის აღძვრა და პარლამენტის მიმხრობა. პარლამენტს ნება უნდა მიეცა აქცია-ობლიგაციების გამოცემისა და ხალხსაც კიდევ ეს აქცია-ობლიგაციები შეეძინა; და აი ამ საქმის მოთავენი ნება-უნებლიედ უნდა ცდილიყვნენ მიებირათ მინისტრები, დეპუტატები, სენატორები, ჟურნალისტები, რომ არსად ცუდი და საეჭვო არა თქმულიყო-რა მათს ნამოქმედარზედ და ნდობისათვის ძირი არ გამოეთხარა.

დაარსდა კერძო კამპანია, მოთავედ ფერდინანდ ლესეპსი გამოცხადდა, აღელდა მთელი საფრანგეთი; ფრანცუზები წააქეზა ცალკე სახელის განთქმამ,

რომ ეს დიდებული საქმე კაცობრიობის წარმატებისა ჩვენითა სრულდებაო; ცალკე იმის სურვილმა, რომ მოგროვილ და საშეილიშვილოდ გადადებულ ფულზედ სარგებელი მეტი მიეღოთო. გახსნა ქისა მდიდარმა; გახსნა ქისა საფრანგეთის გლეხმა და მუშამაც, რომელნიც ყოველთვისა ცდილობენ შავი დღისთვის ორიოდ გროშის გადადებასა და შენახვას. მოგროვდა აუარებელი ფული, შეუდგნენ პანამის მიწის თხრას,ააშენეს ბრწყინვალე სასახლეები პანამის ყელზედ საქმის სხვა-და-სხვა გამგეთათვის. რაც ხარჯი უნდა მოსვლოდა ამ საქმეს, რასაკვირველია, წინდაწინვე იყო ნაანგარიშები, როგორც ინჟინერებისა და არხიტექტორების წესია; მაგრამ ამ ანგარიშის დროს არ იყო სახეში მიღებული ის გაუმაძღრობა და სიხარბე, რასაც მოთავენი გამოიჩენდენ.

პირველადვე დაეტყო, რომ არხის გაყვანას სრულიადაც არ ეყოფოდა ნაანგარიშები ჯამი; მაშასადამე ფული კიდევ უნდა სადმე ეშოვათ და მოსალოდნელი მოგება უფრო ბევრისათვის გაენაწილებინათ. ხმა იყო კიდეც, რომ ისეთი სიძნელე დახვდათ გზაში, რომლის დაძლევა ეხლანდელს ხელოვნებას ინჟინერებისას გაუჭირდებაო. საჭირო იყო ამისთანა ხმების ჩაქრობა, საქმის გაადვილება, მომავალი მოგების გაზვიადება, კიდევ და კიდევ ფულების მოგროვება ახალი ობლიგაციების გამოცემით, რომლისათვისაც ახალი ნება-რთვა უნდა აეღოთ მთავრობისაგან პარლამენტის დახმარებით.

ერთხელვე ბოროტ-მოქმედებაში ჩათრეული კაცი ძნელად-ღა დააღწევს თავს, ძნელად-ღა დაადგება სიმართლის გზას. თვით გარემოებას მოაქვს, რომ ერთხელვე ლაფში ჩაფლული უფრო და უფრო უნდა ჩაიფლას და პანამის არხის გამყვანნიც თან-და-თან ჩაითრია მათგანვე უგვანად დაწყებულმა საქმემ. ფული უნდა მოეპოვათ, რა გზითაც უნდა ყოფილიყო და შეუდგნენ კიდეც დაქრთამვას მინისტრებისას, რომელნიც მთავრობას შეადგენდენ; დაქრთამვას ხალხის წარმომადგენლებისას, რომელთაც თანხმობის კვერი უნდა დაეკრათ მთავრობისათვის და განსაკუთრებით დაქრთამვას ჟურნალ-გაზეთებისას, რომელთაც უნდა ხოტბა ეძლენათ საქმის გამგეთათვის და ისეთი წერილები ეწერათ არხის გაყვანის სიადვილეზედ და მოსალოდნელ მოგებაზედ, რომ აქცია-ობლიგაციების პატრონთ მონაგარის ჩახრიალების სურვილით პირში ნერწყვი მოსვლოდათ.

გაიმართა ვაჭრობა ზნეობისა, მოვალეობისა, სინიდისისა. საფრანგეთმა მოიტივტივა, რაც კი ჭუჭყი ერია იმის ამღვრეულ ცხოვრებაში; თავი გამოჰყვეს თავიანთ სოროებიდან საქვეო სულდგმულებმა, რომელთა შუამავლობით აძლევდენ ქრთამებს საზოგადოებაში ცნობილ პირებს და რომელნიც მილიონებს იძენდენ მარტო ამ სამარცხვინო შუამავლობის წყალობით. შეიქმნა ყურთა-გლეჯა საფრანგეთის მეუყაით და მხნე ხალხში მოგროვებულ მილიონებისა. ბევრმა დაჰკარგა უკანასკნელი ლუკმა, გაგლახავდა, გალატაკდა, მაგრამ მათი დანაკარგით პანამელებმა რაღა შეიძინეს?

შეიძინეს თუმცა დროებითი განცხრომა და ფუფუნება, მაგრამ საუკუნოდ სახელი შეირცხვინეს და სინიდისის საფლავად გარდაიქმნეს ის პანამის არხი, რომლითაც ორს ოკეანეს შეერთებას უპირობდენ. იქნება ოდესმე ეს დაწყებული საქმე სხვათა გაათავონ, ორი ოკეანე შეაერთონ, მაგრამ თვით ოკეანეს უზარმაზარი ტალღებიც კი ვერ წარეცხენ იმ ლაქას, რაც მათ კაცობრიობის წინაშე მოეცხოთ.

მოისმინეთ, მაგალითად, უბრალო გლეხის სიტყვები, სასამართლოს წინაშე წარმოთქმული: „მე ჩემს მხარეში მენდობიან, უთქვამს გლეხს, ჩემი ფულიცა მქონდა ცოტაოდენი და სხვებისაც მებარა. ვიყიდე აქციები პანამისა, მაგრამ ცუდი ხმები რომ გავრცელდა, ჩავოველ პარიჟში და მივმართე ლესეპს' საკითხავად, როგორ მოვქცეულიყავი. ლესეპსმა დამამშვიდა, დამათათბირა; მითხრა: ეგ ცუდი ხმები სულ ინგლისელების საქმეაო, იმათ უნდათ აქციების ფასი დასწიონ, თითონ შეისყიდონ და მერე არხიც ხელში ჩაიგდონო. მეც დავუჯერე, ჩემი ქონებაც დაველუპე და სხვებისაც. ეხლა, მართალია, გაგლახაკებული ვარ, მაგრამ ცრუ და მატყუარა კი არ ვიქნები თავის დღეში ამ ვაჟბატონებივით," — აქ გლეხმა პანამის გმირებისაკენ ხელი მიიშვირა.

ეს ყველა ასეა, მაგრამ რა უნდა დავასკვნათ, რა დარიგება და მოძღვრება უნდა გამოვიტანოთ ამ საქმიდან? ან განათლების უარ-მყოფელთ არა აქვთ ნება სთქვან, ეგეც თქვენი საფრანგეთი, კაცობრიობის წინა-მორბედი, გზის მაჩვენებელიო; რაღას უნდა მოველოდეთ მისგან, რომ საუკეთესო და უნიჭიერეს წარმომადგენელთაც კი ასე დაამცირეს თავიანთ სახელიც დი თავიანთ ქვეყანაცაო. ეტყობა სენი განცხრომით ცხოვრების სურვილისა ისე გასჯდომია ამ ქვეყანას, რომ ამ სურვილს დაუფარავს სხვა ყოველივე გრძნობაო: სინიდისის მხილებაც, ქვეყნის ერთგულებაც, კაცობრიობის სიყვარულიც.

მაგრამ ყოველი სენი მაშინ არის საშიში, როცა იგი ჩუმად მოქმედობს და მისი გამჟღავნება სახიფათოა. თუ საფრანგეთის ზოგიერთა საუკეთესო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეილოთ ბოროტ-მოქმედება ჩაიდინეს, აკი წამალიც ამ ქვეყანაშივე მოიძებნა. ზოგიერთა ჟურნალ-გაზეთები დაქრთამეს, მაგრამ ყველას დაქრთამვას ვერ მოახერხებდენ; ზოგიერთა დეპუტატებს ხმა ოქროთი ჩაუწყვიტეს, მაგრამ სხვებმა სიმართლე არჩიეს ოქროსაც, განცხრომით ცხოვრებასაც და ხმა-მაღლა შეაჩვენეს ქვეყნის წინაშე მისნი შემარცხვენელნი და თავ-ლაფ დამსხმელნი.

შესანიშნავია კიდევ შემდეგი გარემოება. გაისმა თუ არა პანამის ამბავი და მოედვა მთელ დედამიწის ზურგს, თითქო მიბაძვით სხვა ქვეყნებმაც ბანი მისცეს საფრანგეთს და ამით დაგვარწმუნეს, რომ თავ თავისი პანამა ზოგიერთ სხვა სახელმწიფოსაც ჰქონია. გერმანიაში იქაურმა გაზეთებმა ცხადად დაამტკიცეს, რომ პირველ პირებს ულიათ ქრთამად დიდძალი ფული იმ ჯამიდან, რომელიც მთავრობის იდუმალ განკარგულებაშია იტალიაშიაც აღმოჩნდა, რომ იქაური უმთავრესი ბანკი მილიონობით აძლევდა ქრთამებს იქაურ დეპუტატებს, იქაურ ნამინისტრალებს და თვით იმისთანა პირებს, რომელთაც ოც-და-ათი წელიწადი მეტი დიდი პატიოსნებისა და შეძლებულობის სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი მთელს იტალიაში.

აქამდის სად იყვენო,— უნებლიედ იკითხავთ როცა ამ ამბებს თვალს გადაავლებთ. აქამდისაც მრავალი ბოროტ-მოქმედება ყოფილა იქ, მაგრამ მიმალული, მიჩქმალული, პირ-ბადე გადაფარებული. საჭირო იყო ამისთანა საქმეშიც,— თავის თავის მხილებაში, თავის სენის გამოქვეყნებაში — საფრანგეთს მაგალითი ეჩვენებინა, საჯაროდ გამოეფინა თავისი წყლული და სატკივარი, რომ სხვებსაც მისთვის წაებაძათ და ეგრძნოთ, რომ ეს მართლა ისეთი მომაკვდინებელი ცოდვა არა ყოფილაო. ამ საქმეშიაც საფრანგეთი შეიქმნა ქვეყნის მეთაური და ამაშია მისი უპირატესობა, მისი შეუდარებელი ძალა სიცოცხლისა და წარმატებისა.

გამოცხადებული ბოროტ-მოქმედება, რომლის წამალსაც თითონ საზოგადოება, ქვეყანა ეძებს, საშიში აღარ არის. საშიში ის ბოროტია, რაც სიბნელეში თავსა ჰმალავს და ერიდება გამოქვეყნებას.

ი. მ.

შეცდომა

სულელი არის, ვინც ჰფიქრობს,
რომ მთვარე ჩემთვის ბრწყინავსო,
მარტო ჩემთვის!.. და სხვებისთვის,
ყველასთვის ბნელში სძინავსო!

უგნური არის, ვინც ჰგონებს:
ჩემთვის იშლება ვარდიო,
მარტო ჩემთვის! . და სხვებისთვის,
ყველასთვის ეკლის ბარდიო!..

შემცდარი არის, ვისაც სწამს
ქალმა მე შემიყვარაო!..
სხვებისთვის გული დაიხშო...
პირ-ბადე დაიფარაო!.,

ხკხკი

## არწივის ბუდე

(ბ. ბიერნსონისა)

ენდრეგარდენი სულ პატარა სოფელია: სხვა სოფლებს მოშორებული და მთებში მიმალული; თვითონ კი ვაკეზედა დგას, სახნავ-სათესადაც ნოყიერი ყანები აქვს, თანაც მის მთით გარემოცულ ბუნებას მდინარე აშვენებს, რომელიც იქვე ქვეით უფრო დიდ მდინარეს ერთვის. უწინ ამ მდინარეს ერთი კაცი ნავით ამოჰყოლია დ პირველად იმას გაუთელავს ფეხით ეს მინდვრები. ამბობენ, სახელად ენდრე ერქვაო ამ კაცს და ახლაც ამ სოფელში მხოლოდ მისი შთამომავალნი ცხოვრებენო. ზოგი ამბობდა, ენდრეს ბარში კაცი შემოკვდომია და სასჯელს გამოქცევიაო. ამიტომ არის მის შთამომავლობა ასე დაღვრემილის სახისაო. ზოგნი კიდევ სულ სხვას ამტკიცებდენ: დაღვრემილნი იმიტომ არიან, რომ ამ მაღალ თვალ-აუწვდენელ მთებში მომწყვდეულნი ზაფხულშიაც კი ვერა ჰხარობენ მზის სხივებითაო.

ზევიდან, პიტალო კლდის კენწეროზედ, სოფელს არწივის ბუდე დასცქეროდა. ყველა ხედავდა ამ ბუდეს, ყველა ხედავდა არწივს და მიახლოვებას ვერავინ ბედავდა. არწივი კი თავს დასტრიალებდა სოფელს, ელვასავით უცბად დაეშვებოდა მიწისკენ და თავის კლანჭებით ხან თიკანს აიტაცებდა, ხან ბატკანს, ერთხელ პატარა ბავშვიც კი წაიღო. ამიტომ იყო, რომ დამშვიდებულს ვერავის ნახავდით მთელს სოფელში. ყველა ხიფათს რასმე მოელოდა. ხალხში იძახდენ, უწინ, აქ ორნი ძმანი ცხოვრებდენ და იმათ შეჰბედეს — პიტალოზედ აცოცდენ და არწივს ბუდე დაუნგრიესო; მაგრამ ეგ უწინ იყო, ახლა კი ვინ გაბედავდა იმ სიმაღლეზედ აცოცებულიყო.

საცა ორი კაცი იყო, იქ უთუოდ არწივზედ ლაპარაკობდენ და ზევით იყურებოდენ. ყველამ იცოდა, როდის უნდა დაბრუნებულიყვენ ხოლმე არწივები, სად რა მოიტაცეს, სად ვინ აზარალეს; ან ვინ იყო ის

გამზრდაეი, რომელმაც უკანასკნელად მოიწადინა ამ მტრის აწიოკება და ვერა გააწყო-რა. ყმაწვილ-კაცობა ბავშობიდანვე კლდეებზედ ცოცვაში ვარჯიშობდა, ფეხს და მკლავს იმაგრებდა,—ეგები როდისმე არწივის საბუდარს მივაღწიოთ და უწინდელი ორის ძმის სახელი მოვიხვეჭოთო.

იმ დროს კი, რომელსაც ეს ამბავი შეეხება, მთელს სოფელში ყველაზედ გულადი ვაჟკაცი ლეიფი იყო და ენდრეს შთამომავლობას არ ეკუთვნოდა. ის იყო ხუჭუჭ-თმიანი, თვალად ლამაზი, მხიარული და ქალების მოარშიყე. სულ პატარა იყო, რომ იკვეხდა—არწივის ბუდეს მე ჩამოვშლიო და მოხუცებული ხალხი კი პირში სწვდებოდა: მაგ გვარ საქმეს ყვირილი და ტრაბახი არ შეშვენის, „მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო".

ლეიფს ეს უფრო ახალისებდა და ერთხელ, როდესაც დავაჟკაცდა და მკლავში საკმარისი ძალ-ღონე იგრძნო, გადასწყვიტა თავის დიდი ხნის სურვილი აესრულებინა. ზაფხულის დამდეგი იყო; ერთს მშვენიერს დილას არწივს, ის იყო, ბარტყები გამოეჩეკა. მთის ძირში შეყრილიყო მთელი სოფელი. შეშინებულნი სოფლელნი შესცქეროდენ თვალ-აუწვდენელ კლდეს. მოხუცებულები ურჩევდენ—სიგიჟეა შენი წადილი, გონს მოდი, თავს ნუ იღუპავო; ყმაწვილკაცობა კი უფრო და უფრო აქეზებდა ლეიფს:—საქმეს ახლავე შეუდეგ, რაღას ელიო!? ის თავისებურად მოიქცა. მოიცადა მინამ დედალ-მამალი არწივი ბუდიდან გამოფრინდებოდა, მერე ერთი ნახტომით ხის ტოტს მოეჭიდა, რომელიც გამსკდარ კლდეში ამოსულიყო და ფოფხვა დაიწყო. მის ფეხ-ქვეშიდან ხან პატარა ქვა ჩამოგორდებოდა, ხან მიწა ჩამოდიოდა შრიალით, სხვა აღარა ისმოდა რა, მარტო მდინარე მიაქროლებდა თავის ზვირთებს და მიშხუოდა.

ლეიფი ზედ პიტალოზედ მისულიყო. დიდ ხანს ეკიდა ხან ერთ-ხელზედ, ხან მეორეზედ, ეგება ფეხის დასადგმელი ვიპოვო რამეო. ბევრმა აარიდა თვალი, მეტადრე ქალებმა.—უბედურს, რომ დედა ცოცხალი ჰყოლიყო, განა მაგას იზამდაო?! ის კი ისევ საფეხურს ეძებდა. კიდეც იპოვა, გამაგრდა და ახლა უფრო ზევით ეძებდა ფეხის მოსამაგრებელს. ხან ერთ ფეხს აფათურებდა, ხან მეორეს... უცბად წაუსხლტა ფეხი, დაეშვა, მაგრამ ისევ მაგრად მოეჭიდა რაღასაც. ხალხმა სული განაბა, ხმა გაკმინდა, ერთმანეთის სუნთქვა ესმოდათ. ამ დროს ერთი ყმაწვილი ქალი წამოდგა. აქამდის ის ცალკე მოშორებით იდგა ქვაზედ მიყრდომილი. ამბობდენ, დიდი ხანია, ამ ქალს და ლეიფს ცოლ-ქმრობის პირობა მიუციათ ერთმანეთისთვისაო. ქალმა ხელები თავის საქმროსკენ გაიშვირა და შეჰკივლა; „ლეიფ! ლეიფ! რას სჩადიხარ მაგას?! რისთვის?! ხალხი იმისკენ მიბრუნდა. გვერდს მამა უდგა და სასტიკი თვალით შესცქეროდა თავის ქალის ამ გვარ საქციელს, მაგრამ იმას აღარც ხალხი აგონდებოდა და აღარც მამა. „ჩამოდი, ლეიფ, დაუყვირა კიდევ, მე შენ მიყვარხარ. მანდ, ზევით შენ ვერას გახდები"! ამ ხმაზედ ლეიფი გაჩერდა, ეტყობოდა თითქოს, რაღასაც ფიქრობსო; მაგრამ ორი სამი წუთი არ გასულა ამ ფიქრში და ისევ ცოცვა დაიწყო სულ ზევით და ზევით. გულმაგარი ბიჭი იყო და რამდენსამე ხანს საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ დაიღალა; დაიღალა, რადგან ხშირად ჩერდებოდა ხოლმე, რომ დაესვენა და სული მოებრუნებინა. პატარა ქვა ჩამოგორდა, თითქოს უბედურების წინამორბედიაო და იმოდენა ხალხმა თვალი ვეღარ მოაშორა ამ ქვას, ვიდრე მიწაზე არ დაეცა. ბევრი შინ წავიდა, ვეღარ შესძლეს ამ სანახავის ყურება და ქალი კი, ახლა ზედ ქვაზედ ასულიყო. ხელებს იმტვრევდა და სასოწარკვეთილებით შესცქეროდა თავის სატრფოს. ლეიფი კი ცდილობდა, ხელით რაღასაც წასწვდენიყო, მაგრამ მისი ხელი დაეშვა, თითქოს მოსწყვიტესო. მეორე ხელის ხმარება უნდოდა, მაგრამ მეორეც ვეღარ დასძრა. ქალი ამას ყველაფერს ჰხედავდა. „ლეიფ!" ისე გულის საკლავად დაიკივლა საბრალომ, რომ შორს, შორს მთებში გაისმა მისი ხმა. „მოსწყდა!... დაეშვა, დაეშვა!..." ყვიროდა ქალი და კაცი, დიდი და პატარა და ყველას იმისკენ გაეწვდინა ხელები, თითქოს კლდიდან მომწყდარს და დაგორებულს ლეიფს ხელით დაჭერას უპირებდენ. ის კი მოცურავდა, მოგორავდა, თან ქვიშას, ქვებს და მიწას მოაგორებდა ფრიალო კლდიდან, საშინელი სიჩქარით მოჰქროდა თავდაღმა. ხალხმა პირი აარიდა და მათ ზურგს უკან რაღაცა ზღართანი შემოესმათ, თითქოს კლდიდან წყალში ბელტი ჩამოვარდაო.

როცა სოფლელებმა პირი მისკენ მიიბრუნეს, მათ თვალ წინ ეგდო უბედური დამტვრეული დასახიჩრებული ლეში. ქალს იქვე ქვაზედ წასვლოდა გული და ისე გულშემოყრილი წაიღო შინ მამა მისმა.

ყმაწვილი-კაცი, რომელიც წელან ისე ახალისებდა და აქეზებდა ლეიფს, ახლა მიკარებასაც ვეღარ ჰბედავდა. ზოგი მის დანახვასაც კი ვერ უძლებდა და ისევ მოხუცებულები შეუდგენ საქმეს. ყველაზედ უფროსი მიუახლოვდა მკვდარს და წამოსვენება დაუპირა. იმან აიხედა მაღლა და სთქვა: „დიდი სიგიჟე იყო ასეთი გაბედულობა; მაგრამ ისიც კარგია, რომ ამ სიმაღლეზე რაიმე მისაღწევი საგანი გქონდეს და შებედო იმის მიღწევას. ყველა ხომ ვერ გაბედავს ამას."

N

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა

Дозв. ценз. Тифлисъ, 31 Январь 1893 г. სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა (Типографія Груз. Изд. Т—ва.)